

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების  
სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობა „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებამ, რომლის შესაბამისად, რეორგანიზებულ უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისათვის შემოსავლების სამსახური და ჩამოყალიბდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არხი:

წამოდგენილი კანონპროექტის პირველი პუნქტის თანახმად ცვლილება შეიძის კანონის მე-3 მუხელში, რომლის თანახმად სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო აქტებში ასახულ ფუნქციებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ნაცლად განახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური. ფუნქციები, რომელიც “ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციად განისაზღვა ამოღებული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფუნქციებიდან, შესაბამისად ცვლილებების შეეხო კანონის მთერ რიგ მუხლებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.კ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:  
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:  
კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:  
ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):  
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:  
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:  
არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:  
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:  
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:  
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:  
საქართველოს მთავრობა